ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№5, 31 მაისი, ორშაბათი, 2021 წელი

სტუმარი რედაქციიდან

ნომრის სტუმარია საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გორის ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის პრეზიდენტი, გაზეთ „ლიტერატურული ქართლისა" და ჟურნალ „კარდუს" რედაქტორი, პოეტი დავით ახლოური.

ყოველი გათენებული დღე უფლის საჩუქარია

– დავით, საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი და შემეცნებითი გზა გაქვს გავლილი, ხარ არაერთი ლიტერატურული ღონისძიებისა და პროექტის სულისჩამდგმელი. რაიმე რომ არ გამომრჩეს, თავად გააცანი გაზეთ „ლიტერატურული ხაშურის" მკითხველს შენი ბიოგრაფია და მოღვაწეობის არეალი.

– ახალგორის რაიონის სოფელ მიდელაანში დავიბადე. ქ. გორში დევნილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. იქვე დავიცავი დისერტაცია თემაზე „ახალგორის ისტორია უძველესი დროიდან ქსნის საერისთავოს გაუქმებამდე (1777 წ.)".

სხვადასხვა დროს ვიყავი საქართველოს სახელმწიფო ენის პალატის ახალგორის განყოფილების უფროსი, შიდა ქართლის ახალგაზრდა მწერალთა ასოციაცია „პარნასის" ხელმძღვანელი, გაზეთების „მშვიდობის", „ყაყაჩოს", „უფლისციხის", „გორის უნივერსიტეტის" და ჟურნალ „ჩვენი უნივერსიტეტის" მთავარი რედაქტორი.

– ლექსების წერა როდიდან დაიწყე?

– 9 წლიდან ვწერ. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ჩემი პირველი ლექსები და ლიტერატურული წერილები გამოქვეყნდა ახალგორის რაიონულ გაზეთში. გამოცემული მაქვს 30 წიგნი, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი.

– საქართველოში მიმდინარე თანამედროვე ლიტერატურული პროცესები რამდენად მისაღებია შენთვის?

– რთულ ეპოქაში გვიწევს ცხოვრება... ან რომელი ეპოქა შეიძლება ყოფილიყო ოდესმე მარტივი ჩვენისთანა პატარა ქვეყნის შვილებისთვის?! ასეთ ყოფაში ბევრი რამ შეიძლება იყოს მიუღებელი ან, შესაცვლელი, თუმცა, ყველა მიმდინარე პროცესი და, მათ შორის, ლიტერატურულიც, ანარეკლია ჩვენი ყოველდღიურობის. ხშირად ხდება ღირებულის ჩრდილში მოქცევა, ფასეულობების გადაფასება, „ცრუ პოეტების" გაფეტიშება, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია... „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო"...

– დღესდღეობით ბევრი წერს, როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა ეს ფაქტი?

– კარგია, რომ ბევრი წერს. კარგია, რომ ხალხს უყვარს პოეზია და ცდილობენ ნაფიქრალის პოეტურად გამოთქმას. ზოგს გამოუვა ეს, ზოგს – არა. ნეტა ისე გვქონდეს საქმე, რომ ყველა წერდეს, ყველა ხატავდეს, მღეროდეს, ცეკვავდეს... ქართველი კაცი ხომ სულით ხელოვანია. შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას, ლადოს, მირზას, მუხრანის სამშობლოში რომ ხალხს პოეზია უყვარდეს და წერის სურვილი ჰქონდეს, არ არის გასაკვირი... ოღონდ ქართველი მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებასაც უნდა გავუფრთხილდეთ და იმ ღვთაებრივ საგანძურსაც, რასაც ქართული პოეზია, ქართული მწერლობა ჰქვია...

– არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ ამდენმა მდარე ფასეულობის ლიტერატურულმა და, ზოგადად, ვითომ ხელოვნების ნიმუშებმა საბოლოოდ, გააღარიბოს ახალგაზრდა თაობის გემოვნება?

– განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ მომავალ თაობაზე, მათ სულიერებაზე. საბედნიეროდ, დღეს ჩვენს გვერდით არაერთი დიდი პოეტი მოღვაწეობს. ხშირად უნდა ხდებოდეს მათი სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში მიწვევა. ეს მხოლოდ ჩვენს მომავალ თაობაზე კი არა, შემდგომ თაობებზე ზრუნვაც იქნება. ახალგაზრდობა ჭეშმარიტ პოეზიას უნდა ვაზიაროთ... დანაშაულად მიმაჩნია, როცა ამდენი გენიალური პოეტის სამშობლოში ზოგჯერ მდარე პოეზიის ნიმუშებს აზეპირებინებენ ბავშვებს.

– ვინ არის შენთვის გამორჩეული ლიტერატურული პერსონაჟი?

– ალბათ, დათა თუთაშხია, არც წიგნის კითხვა მწყინდება და არც ფილმის ყურება... თუმცა, ჩემთვის იდეალური პიროვნება დავით აღმაშენებელია. ამიტომაც უყვარდა იგი განსაკუთრებით ქართული მწერლობის დიდოსტატს, რომელმაც თავისი უკვდავი ისტორიული რომანით კიდევ უფრო შეგვაყვარა ეს ზეციური მადლით მოსილი ღვთისკაცი...

– გეგონა, რომ...

– კი არ მეგონა, ვიცი, რომ ყოველი გათენებული დღე უფლის საჩუქარია და კიდევ ერთხელ ბოძებული შანსი, თვალი გავუსწორო ტაძრისაკენ მიმავალ გზას... უფლის იმედი მაქვს, უფლის და ჩემი ხალხის გონიერების...

– რას ეტყვი „ლიტერატურული ხაშურის" მკითხველს?

– ხაშური დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე ქალაქია, რომელსაც დღესაც არაერთი საინტერესო შემოქმედი ჰყავს. 23 მაისს, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების შიდა ქართლის სადროშოს მეთაურთან ერთად, ვესტუმრე თქვენს ქალაქს და ნორჩ ხელოვანს ნუცა ჩიტაძეს დაბადების დღე მივულოცე. პატრიარქის კურთხევით, ნუცა ჩოხოსანთა ოჯახის წევრი გახდა, ამასთან, იგი ავირჩიეთ შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის წევრად და საპატიო სიგელითაც დავაჯილდოეთ.

გაზეთ ,,ლიტერატურულ ხაშურს" ვუსურვებ ნიჭიერი ავტორების სიმრავლეს.

– დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. სიამოვნებით შევთავაზებთ ხაშურის ლიტერატურულ საზოგადოებას შენს ლექსებს.

ესაუბრა **ეკა ბაქრაძე**

პოეზია

დავით ახლოური

* * *

მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ
და ამიტომაც გარიდებდით თვალებს ნამიანს.
ჩემი სამშობლოს ხავსისფერი ტაძრის ლოდი ვარ,
შენი ქონგურის ჩუქურთმა ვარ, ავე მარია!
მე თუბალი ვარ, მესხი ვარ და კოლხთა ბადიში,
დედა ვუტირე, ვინც ჩემს მიწას მტვერი ადინა...
მოყვარეს გული გავუღე და მტერს კი, ბოდიში,–
თუ დაამიწა ჩემს ედემში ავმა წადილმა.
მე მივულეწე ასურელებს ბედის კარავი,
ვპირველობდი და მომყვებოდა ტომი ხალდების.
ისე მოვედი, არ დავუთმე არსად, არავის...
ღვთის მონა ვარ და, სიკვდილითაც, უფალს ვბარდები.
გამოვიარე ქვის ხანა და ხანა ოქროსი,
წარსულში დარჩა, სიდიადით აქეს რომელიც...
არ გამიცვლია შაჰის ხმალზე ციხის ბოქლომი,
არ შემხვედრია უძლეველი მაკედონელი.
მე დავიბრალე არტაანთან აზოს სიკვდილი,
ჩემი ბრალია, ფირუზისფერს, დღესაც რომ ჰგავს ცა...
მაწამეს, მაგრამ არ ვყოფილვარ სასომიხდილი,
როცა დასჭირდა, ინდოეთში ვახლდი გორგასალს...
მზეს წვიმა ცვლიდა, ღრუბლისფერი იდგა ამინდი,
ელვა და ჭექა მილეწავდა ზოგჯერ დარაბებს,
ათასჯერ დაჭრილს, სისხლიანი მეცვა ქლამინდი,
სამასი წელი გავუძელი იმ ყრუ არაბებს!
მცხეთაც ავაგე, ნიკორწმინდაც, ხანძთაც, ბედიაც...
და ღვთის ტაძრიდან, ღვთის სახლიდან ღმერთს მივესალმე...
მემკვიდრე ვიყავ სამი ტახტის, ესეც ბედია,
აფხაზეთიდან გავამეფე ბაგრატ მესამე.
დიდგორის ველზე დავამარცხე ურიცხვი მტერი,
ვიშამქორე და დავაჩოქე რუმის სულთანი
და, როცა მწვერვალს გავუსწორდი, ვითარცა ერი,
თურმე, მონღოლებს გვიმზადებდა ბედი მუხთალი...
წახდა ქართლი და გადარჩენა ისევ ვივალე,
ჟამი – ბედკრული ამოსუნთქვას როდი მაცლიდა...
უფლის განგებით მხსნელად მოველ, მოველ ბრწყინვალედ,
ოსიც, მონღოლიც გადავრეკე ჩემი ქართლიდან...
მეთხუთმეტედან კვლავ მესმოდა ხმები ველური,
არაბს და მონღოლს ჩაენაცვლა მტერი ახალი,
არ გვასვენებდა ბარლასელი კოჭლი თემური
და დაგვიტოვა ნასოფლარი, ნავენახარი!..
დაგვყვეს, დაგვშალეს ცალკე ქართლად, ცალკე კახეთად,
ცა იქცეოდა, ერთმანეთთან როცა ვომობდით...
იშიშვლა ხმალი სვიმონმა და უფალს გახედა,
თრიაქით მთვრალი დარაჯობდა მამულს ბოლომდე...
ბევრჯერ ჩავხედე წყვდიადისფერ სიკვდილს თვალებში,
მაინც არ დავთმე, ბებერ ქსანზე ციხე ავაგე,
გადავიტანე თურქთა, სპარსთა, ლეკთა თარეში,
რა ვუყოთ, თუკი, ბოლო ბრძოლა რუსთან წავაგე...
ისევ ომში ვარ, დაღმართიდან ვეძებ აღმართებს,
ამ ბინდისფერსაც გადაუვლის სხივი დილისა,
დაგვიბრუნდება უფლის ნებით ის, რაც წაგვართვეს,
ჩემს საქართველოს ხატი იცავს ივერიისა...

მზის საუფლოში დავიბადე, მზისგან მოვდივარ...

ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს,
მინდა დავბრუნდე, მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...
იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,
იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა...
ვფურცლავ დღიურებს – ატირებულებს ბალღივით,
ისევ ვინახავ ქსანზე მოწყვეტილ ყვავილს...
დავეხეტები ხიზნის მანტიით დაღლილი
და მონატრება გულში ხარივით ბღავის!

წამომყევი კოლხიდას...

მიდის ჩვენი დღეები,
უბრალო და მარტივი,
ესეც ჩვენი ბრალია,
მოწყენილად თუ მიდის,
წამომყევი კოლხიდას,
ვინახულოთ მარტვილი,
მოვიაროთ აბაშა,
სენაკი და ზუგდიდი!
რა იცი და, ლაზიკა
იქნებ ჩემი ბედია,
ისევ იქით მიმიწევს
სისხლი მხნე და ჯიქური,
ჩემი ნოქალაქევი
როგორ მომნატრებია,
როგორ შემყვარებია
სითბო წალენჯიხური...
განა მარტო პოეტი,
განა მარტო მწერალი,
მხედარი ვარ ფხოველი,
მაყოლებენ თვალს შურით,
უყვართ ოდიშელებსო
გაფრენილი მერანი,
რას მიქვიან ძარგვალი,
ანდა, თუნდაც ლაფშური...
ცოტნეც ალბათ აქვეა,
ცხენისწყალთან გართული,
ჯგალი ღმერთთან საუბრობს,
მეოცნებე კაცივით,
ძმაო, ლხინი მომინდა,
სხვანაირად ქართული,
ოჯალეშით დათრობა,
ელარჯი და საცივი.
არც მარტოდენ ღვინო და
არც მარტოდენ პურობა,
ქართველობით ვყოფილვართ
ოდითგანვე საქები,
დედის ხატით იცნობა,
ჯიმა, აქაურობა,
მლოცავს ჩემი ჩხორი და
გზას მინათებს ვლაქერნი.
მინდა ხელით შეხება
უფლის ყველა შედევრთა,
ძველი საგალობლები,
ლოცვა ტაძრის ჩეროში...
ტატოს ეკატერინე –
დედოფალი მენგრელთა
გვიმასპინძლებს გულუხვად,
თავის სამფლობელოში...
გველოდება ჯვარი და
ჯიხაშკარის ხარება,
ხატების წინ მუხლმოყრა –
ეს ხომ სულის ჰობია,
გულის დასაამებლად,
ძმების გასახარებლად,
აქ ხომ ჩვენი ფოთი და
აქ ხომ ჩვენი ხობია...
ენა ქართულ - ლაზური
უკვდავია მარადის,
დროსთან მედგარ ჭიდილში
საუკუნოდ გაძლებს და...
არ მთავრდება ყოველი
კრწანისით და მარაბდით,
სადიდგორედ იწვრთნება
უფლისწული აღმზრდელთან...
დავივიწყოთ დღეები,
უბრალო და მარტივი,
მთვარის მოსატაცებლად
ვიდრე ბორგავს ენგური...
მოვიაროთ ჩხოროწყუ,
ზუგდიდი და მარტვილი,
მომენატრა სითბო და
სიყვარული მეგრული...

* * *

მთაში ვარ, ცხორ სერზე გავლალე,
არ ვჯავრობ, ვის სათიბ მოძოვენ...
გზად მხვდები, ქარ გიშლის დალალებს,
მე ვმზეობ, ჩემად ვთვლი ხოზოეთს...
შენ მორცხვობ და ისევ ღრუბელობ, –
მგლისფერო, არ გვნახოს მამამო...
რად მინდა აქ ცხენი უბელო,
სად წავალ, ცრემლითაც დამნამო.
ამაღამ ნაბად აქ გავშალოთ,
ფშაველი წაწლობას გასწავლი,
ალაზნის ჩურჩულში ჩავშალოთ,
მთის ქალო, შენი ორ ნაწნავი!..
და მერე, თუ გინდა, ვეახლოთ
მას, ვისაც საქმე აქვს საშარო...
არასდროს მყოლია მზე ახლოს,
დღეს მყავს და არ დავთმობ, ქალშავო!

ი უ ბ ი ლ ა ტ ი



შოთა დარბუაშვილი

პაოლო...

იქნებ მეც გავიხვრიტო
შუბლი, ცხელი ტყვიით!
განსხვავებას ვერ ვხედავ, –
დრო ყოველთვის ტყუის...
ცისფერ ყანწებს აავსებს
პაოლო იაშვილი
და გადმოვა ალავერდს
სისხლისფერი ღვინით...
წვიმა წუხს და ჩურჩულით
ეუბნება ივლისს:
– ჩამოხეულ პერანგით,
ეს თაობა ივლის...
ოი, რა ლექსებია,
რა ლივლივი მინდვრის,
ტიციანი პასტერნაკს
ელოდება თბილისს...
მოკლეს ათი პოეტი
ტყვიით, სიტყვით, ღვინით...
იყო მაშინ დროება
წითელ ქარტეხილით...
– განსხვავებას ვერ ვხედავ! –
ქარი კივის, კივის...
გარდაცვლილი სონეტი,
თეთრად დასეტყვილი...
იქნებ მეც გავიხვრიტო
ცხელი გული, ტყვიით,
მერე რა, რომ სხვა დროა, –
დრო ყოველთვის ტყუის...

ცხინვალს

მე ვეფერები მშობლიურ ქალაქს,
სად უჩვენობის ოცი წელია...
ვნატრობ, შენს სურნელს კვლავ ვეზიარო,
გულს ეთბუნები, ჩვენო ფერიავ...
და, რასაც ჰქვია, ცხოვრება ჩვენი,
შენით ავსილმა, ვერაფრით დავთმე...
უიმედობის თალხი ღრუბელი
იმედის სხივებს მაინც ვერ მართმევს...
აქ ლიახვს ჭრიან ცისარტყელები,
მოდის აპრილის შხაპუნა წვიმა
და სადღაც მღერის სამოთხის ჩიტი,
ჩემს საგალობელს ლექსებად გწირავს...

* * *

აღარც ლექსი იწერება,
აღარც გული ხალისობს,
იებმა და ენძელებმა
დარდი მთოვეს ხვალისო.
ვიღაცისთვის ეს ქვეყანა,
არის ვარდი, სოსანი,
აქეთ თამარ მეფე მტკივა,
იქით – დავით სოსლანი...
ბედისწერამ დამანათლა
სევდის კრიალოსანი...
მაგრამ დარდიც ამაოა,
მზეს მოველი მგოსანი...

კედელი

დუელი არ შედგა,
ვესროლე კედელს...
კედელი, ლოგიკურს,
მაგონებს შედეგს.
აღმართულ კედელს –
ყრუსა და მაგარს,
არ დაუკარგავს
მავანი ამაგს...
რამდენიც გინდა,
ახალე ტყვია,
რამდენიც გინდა,
იძახე – მ შ ი ა!
გინდ, ეს იყავი,
გინდა – ყოფილი,
თავშეყოფილი,
გამოყოფილი,
კვადრატული თუ,
მრგვალი პროფილით,
უმთავრესია,
იყო მორჩილი!..
იფიქრა ბევრი
და, რადგან, კაცმა,
ამოხსნა რთული
ცხოვრების ქარგა,
ის მოკლეს...
წამით შეჩერდა ჟამი,
კედელთან ეგდო
დრო – თავის მსჯავრით...

ქვიშხეთს

აქ ნიავიც ცელქია და ფრთიანია,
თითქოს თერხვზე ამხედრებას ლამობს,
დაარწყულებს ცაცხვებს ცხელი სურვილებით,
ყურს თუ უგდებ, ამიმღერე ქარო!..
ქვიშხეთს ახსოვს სულხან-საბა და აკაკი,
აქ წარსული ბრწყინვალებით ელავს,
მთაწმინდაზე ზეცის კარი ღია არის
და ეს გული შენთვის მარად ღელავს!
ყიფიანით შუქმოსილი აისები
აქ, მგოსანთა შთაგონებად ენთო,
მერე ცრემლად იღვრებოდა კელაპტარი,
– ამერ-იმერს მიმიხედე, ღმერთო!
მეც მოგენდე...შემიფარე, როცა ღამემ
დამიწყლულა იარები მეტად,
უკვე უფალს აღარაფერს ვეაჯები,
ვეფერები ჩემს დედულეთს, ნეტარს...
აქ ნიავი ცელქია და ფრთიანია,
თერხვის ქარი აგიმხედრებს სურვილს...
და ცაცხვებთან გარინდული ყიფიანი
სამშობლოზე ფიქრით იკლავს წყურვილს.

* * *

სამყაროს ფერად ზეგანზე
ცა, ზღვა, ხმელეთი სულ იყო,
მე ჩემს სამშობლოს ვეძებდი, –
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...
უფლისციხესთან წითელი
ყაყაჩო ამოსულიყო,
იქვე, პოეტის ანდერძი
ფოთლებში მიმალულიყო...
უკვე სხვის ბაღში, ეული,
ნატვრის ხე ამოსულიყო,
მავთულხლართებთან ვტიროდი:
,,სადა ხარ, ჩემო სულიკო"!..
მწუხრის მზემ არა იცოდა,
დღე ღამით შემოსულიყო...
ისიც თავისთვის იწვოდა,
ჩემსავით, მარტოსულ იყო...

* * *

ამ მარტოობის და დევნის მერე,
შენა ხარ ჩემი სულის მდინარე...
ისევ შენა ხარ ჩემი უფალი,
ეს ცა – ჩამქრალი, შენით ბრწყინვალებს...
მე მიყვარს შენი დროში სიშორე,
სურვილი – ცად რომ არ იფანტება,
როცა ზამთარი და სიმარტოვე
შეთხზულ სამოთხეს მიფენს ფანდებად...
ამ ღამით მთვარე შეიმოსება
და მეც წვიმებით ვგაზაფხულდები,
გთხოვ, მომიტევე ეჭვის ქარტია,
შენზე ოცნების განადგურების...

მეორე მსოფლიო ომის ქრონიკა



ვიკი ველაშვილი

იმ ქარცეცხლიან დღეთა ხსოვნიდან...

გასული საუკუნის მეორე მსოფლიო ომი...

ომში წასული მამაკაცები, შინ დარჩენილი ქალები, ბავშვები, მოხუცები, შიმშილი, ცხოვრების სიდუხჭირე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ფრონტზე – ეს ყოველივე თითოეული ოჯახის განუყოფელ ხვედრად იქცა, რადგან ომი უდიდეს ძალისხმევას და მაქსიმუმის გაღებას მოითხოვდა.

1942 წლიდან, გერმანელი ფაშისტები კავკასიის ნავთობის ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ და მათი კავკასიაში შემოჭრის საშიშროება არსებობდა.

სამი წლის ვიყავი და ბავშვის გადასახედიდან დანახული ცხოვრება წარუშლელად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში...

ქვიშხეთში, კოშკის უბნის თავში ცხოვრობდა ჩვენი ოჯახი, გზისპირას, ორსართულიან სახლში. აქედან კარგად ჩანდა სოფლის აღმოსავლეთი გზა და მეზობლების სახლები. ამიტომ, მიყვარდა კიბეზე ჯდომა და ამ გადასახედიდან ყურება.

მახსოვს, ერთხელ, სახლში პური არ გვქონდა. ბევრი ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტეს, დარჩენილი ქატოსგან პური გამოეცხოთ. გამოაცხვეს ქატოს პურები და ყველა იმას შევექცეოდით. უფროსები სიმწრისაგან იცინოდნენ... გაზაფხული იყო და ღია ოთახში ვისხედით. უცბად გრძელი პალტოთი, გრძელი ჯოხით და უცნაურად ჩამოფხატული ქუდით კართან ვიღაც დადგა, – მათხოვარი აღმოჩნდა. დედაჩემმა გამომცხვარი ქატოს პური მომაწოდა და მანიშნა, მისთვის მიმეტანა. გავირბინე პურით ხელში და გავუწოდე. გამომართვა, მადლობა გადამიხადა და იქვე, გზისპირა კვალზე დაჯდა და ჭამა დაიწყო. ბებიამ შინდის შეჭამანდი დაასხა ჯამზე და ისიც მიაწოდა. შეჭამა საბრალომ და გაუყვა გზას სხვა სახლებისკენ.

1942 წლის ზაფხულია. ჩვეულებისამებრ, კიბეზე ვზივარ და ვათვალიერებ მიდამოს. უცბად სოფლის ამოსასვლელ გზაზე სამ მწკრივად დაწყობილი ჯარისკაცთა კოლონა გამოჩნდა, რომელსაც მეთაური მოუძღოდა. მთელი ხმით ვიყვირე – ჯარისკაცები, ჯარისკაცები. სახლებიდან გამოეფინნენ მეზობლები, ჩემიანები. ბავშვები კისრისტეხით მორბოდნენ. რუსი ჯარისკაცების რაზმი ჩვენს სახლთან შეჩერდა. მეთაურმა სიები ამოიღო და ისინი საცხოვრებლად სახლებში გაანაწილა. ჩვენ ოჯახს ოთხი ჯარისკაცი ერგო, რომლებიც ჩვენთან საუზმობდნენ და ვახშმობდნენ. ხშირად რომელიმე მათგანი კალთაში ჩამისვამდა და მეხუმრებოდა. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება მათთან ერთად გრძელდებოდა.

ჯარისკაცები საუზმის შემდეგ მიდიოდნენ სოფელში და სოფლის სტრატეგიულ ადგილებში სანგრებს თხრიდნენ. ყველა მაღლობი გაამაგრეს.ისინი მანამ ცხოვრობდნენ სოფელში, სანამ გერმანელების კავკასიაში შემოჭრის საფრთხემ არ გადაიარა. ამის შემდეგ, ხვევნა-კოცნითა და სიყვარულით დაგვემშვიდობნენ და მწყობრი ნაბიჯებით დატოვეს სოფელი.

1945 წლიდან, წიფის გვირაბის ახლოს მდებარე ბარაკებში ტყვე გერმანელები ჩამოასახლეს. ისინი ქვიშხეთში, ბორჯომის სარკინიგზო სადგურის უკან ამზადებდნენ ცემენტის ნაზავს და მანქანებით სადღაც ეზიდებოდნენ. მე უკვე 5 წლის ვიყავი. იმდენად დიდი იყო ჩემი ინტერესი, რომ მშობლების დაუკითხავად, ჩუმად გავიპარე და მათთან მივედი, შორიახლოს დავჯექი და მათ მუშაობას ვადევნებდი თვალს. დამიმეგობრდნენ და ხშირად მეთამაშებოდნენ. თავისუფალ დროს ისინი საბავშვო სათამაშოებს აკეთებდნენ და სოფელში საჭმელზე ცვლიდნენ. თითქმის ყოველდღე მივდიოდი და ვუყურებდი მათ საქმიანობას. იქვე, ახლოს, ბოძებზე დამაგრებული ჰქონდათ მანქანის რკინის საბარგული, რომელშიც წყალს იმარაგებდნენ და იქიდან რეზინის მილით ცემენტისა და ქვიშის ნაზავს ასხამდნენ, რითაც საქმეს იმსუბუქებდნენ.

ერთხელ, როდესაც მათთან მივედი, რკინის საბარგული ცარიელი იყო. გერმანელი ტყვეები საქმით იყვნენ გართულები. მათ დაუკითხავად, ჩუმად ამ საბარგულში ჩავძვერი, რომელიც სამაგრებზე ქანაობდა და, ჩემი ჭკუით, მეც ვქანაობდი. მოულოდნელად, საბარგული ასხლტა ბოძებიდან, ასცდა სამაგრებს და მთლიანად ჩამოვარდა. საბედნიეროდ, არ დამცემია, მხოლოდ დამემხო და თაგვივით შიგ მოვყევი. გერმანელმა ტყვეებმა იფიქრეს, რომ საბარგული ზედ დამეცა და მოვკვდი. ელვის სისწრაფით მოვარდნენ და ცოცხალი რომ დამინახეს, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თვალებზე ცრემლი მოადგათ. მეფერებოდნენ, მკოცნიდნენ, სათამაშო მომცეს, თავიანთი ხელით დამზადებული. სათამაშოს შუა გრდემლი იყო გაკეთებული, აქეთ-იქიდან კი – დამაგრებული კაცები, რომლებიც სათამაშოს ამოძრავების დროს რიგ-რიგობით ურტყამდნენ ურროს გრდემლს.

სიხარულით მივირბინე სახლში. ის სათამაშო შემდეგში ბავშვებმა მომპარეს.

ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს სკოლაში შევედი და ახალი მეგობრები გავიჩინე. ვხედავდი, როგორ უჭირდა ყველას, ქვეყანა პრობლემებით იყო დახუნძლული და ყოველდღიური გაჭირვება თავს გვახსენებდა. ბავშვების უმეტესობა დახეული ტანსაცმლით, ფეხშიშველა დადიოდა, რის გამოც, მეც, ხშირად უარს ვამბობდი ფეხსაცმლის ჩაცმაზე, სკოლაში მათსავით ფეხშიშველა დავდიოდი.

ზაფხულის არდადეგებზე პაპას კალოობაზე დავყავდი და კევრზე დავქროდი, მთელ დღეებს იქ ვატარებდი. ვხედავდი, როგორ იყრიდნენ ადამიანები გამოფშვნილ პურს პირში და ასე ნაყრდებოდნენ...

ჩემი თაობა მეორე მსოფლიო ომის ყველა სიმწარისა და საშინელების მომსწრეა. ვისურვებდი, აღარასოდეს დამდგარიყოს ასეთი განსაცდელი მსოფლიოს წინაშე.

ეზოული ტყეშელაძეული

იუმორესკა

მთვრალი მაშა

ჩემს ბავშვობაში ღორი გვყავდა სოფელში – სახელად მაშა. ,,მშვენიერი" ღორი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ლაფში წოლა ერჩივნა სუფთად ყოფნას. ყოველ მაკეობაზე თოთხმეტ გოჭს დაყრიდა, საიდანაც ათი მაინც იქნებოდა ტახი. დანარჩენი ნეზვი იყო. ვიზუალურად გრძელი ღორი იყო მაშა, ყურფართო და დინგმაღალი. ამსიგრძე ღორი ისე მოხერხებულად დაწვებოდა, რომ არც ერთ გოჭს ქვეშ არ მოიყოლებდა. სწორედ ამიტომ, თოთხმეტივე გოჭი გაზრდილი შერჩებოდა. მოდი და, დაიშურე ასეთი ღორისთვის სიტყვა ,,მშვენიერი".

ზოგადად, ღორს ჭამა უყვარს და ჩვენი მაშიკოც განსაკუთრებული მადით გამოირჩეოდა, როცა თოთხმეტი გოჭი გამალებით წოვდა ძუძუს. მომწონდა მათი ცქერა, მაშა პირზე რძეაქაფებულ გოჭუნებს სიყვარულით რომ ,,მიუხოთხოთებდა", თითქოს ეუბნებოდა: დაწყნარდით, პატარებო, ყველას თქვენ-თქვენი ძუძუ გელოდებათ გამოსაკვებადო. როცა გოჭები ძალიან პატარები იყვნენ, მაშა ღორს მწვანეზე გავიყვანდით დამატებითი საკვებისთვის და, მოწოვების დრო რომ მოვიდოდა, ისევ გოჭებთან ვაბრუნებდით.

ერთ დღეს დაიკარგა ღორი! აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერაფერი გავიგეთ. ჯაჭვი გაეწყვიტა და ალიკვალად გამქრალიყო. მთელი ოჯახი ვეძებდით სიმინდის ტაროთი შეიარაღებულნი და ვეძახდით:

,,ნეი, მაშა, ნეი, ნეი!" სხვა დროს ასეთ დაძახებაზე, სადაც უნდა ყოფილიყო, ჩვენთან გაჩნდებოდა, ახლა კი – არა და არა! ერთმა მეზობელმა ხმა მოგვაწვდინა:

– თქვენი მაშა, რუსთან რომ ნარგავებია, იქ წევს და სძინავსო!

– სძინავსო? – შევიცხადეთ ყველამ!

– რა ჯანდაბა აძინებს, როცა გოჭებს შიათ და თითონაც სალაფავის ჭამის დრო აქვსო! – ჩაილაპარაკა ბაბუამ და ჯოხმომარჯვებული ჩაუყვა რუსკენ მიმავალ ბილიკს. იქით გავსწიეთ ჩვენც.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – წევს მაშა ზარმაცი პატარძალივით, რომელსაც ღრუბლიანი დღე სისხამ დილა ეგონა, და ქსინავს (მხოლოდ ამით ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი). ძილქუშდაწოლილ მაშას წიხლიც ბევრჯერ უთავაზეს, კუდითაც დაუპირეს გათრევა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე! – წევს არხეინად და სულ არ ანაღვლებს მშიერი გოჭებიცა და ისიც, თუ როგორ გავწვალდით მისი ძებნით, მთელი ოჯახი!

თურმე, ნუ იკითხავთ! ჭაჭის გადასაყრელად მიმავალი მეზობლის კაცი შეუნიშნავს მაშას და... მუცელი აქოთქოთებია, გაუწყვეტია ჯაჭვი და მას ადევნებია! ძღომამდე უჭამია ჭაჭა და კარგადაც გამომთვრალა!

ისევ ბებიამ მოიფიქრა და მთელი ვედრო წყალი გადაასხა მძინარე მაშას.

გაახილა თვალები მაშამ და წამოდგომა დააპირა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოახერხა და სახლისკენ წალასლასდა.

ეტყობოდა, რომ ჯერ ისევ ალკოჰოლის გავლენის ქვეშ იყო ჩვენი მაშიკო.

რედაქტორი ეკა ბაქრაძე